



შპს ორიენტირი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო პრაქტიკა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		მასაჟისტი
საფეხური		III საფეხური
სასწავლო კურსის დასახელება		სასწავლო პრაქტიკა
სასწავლო კურსის კოდი		MAS03-12
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა		7 კვირა
სასწავლო კურსის ხელმძღვანელი		ნინო ლურსმანაშვილი მაკა ადეიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია		599 374 326; 5 93 25 68 95
ელ-ფოსტა		E-mail: lursmanashvili.62@mail.ru madeishvili@list.ru
10 კრედიტი 250 საათი	პრაქტიკა	245 საათი
	შუალედური გამოცდა	2 საათი
	დასკვნითი გამოცდა	3 საათი
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა		პრაქტიკის გავლის წინაპირობაა - პროგრამით გათვალისწინებული <b>თეორიული კურსი.</b>
სასწავლო კურსის მიზანი		პრაქტიკის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტს რათა მან შეძლოს სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.
სასწავლო კურსის შინაარსი		ძირითადი თემები (იხ. დანართი)
<b>პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება</b>		
<p>პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p><b>შეფასება:</b></p> <p><b>ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება</b></p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი,  (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%,  (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%,  (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%,  (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%,</p> <p><b>ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:</b></p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;  (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p><b>პრაქტიკის შეფასება:</b>  შუალედური შეფასება - 60 ქულა  დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა</p> <p><b>შუალედური შეფასება შედგება :</b></p> <p><b>I. პრაქტიკული დავალებების შესრულება-მაქსიმუმ 40 ქულა;</b>  პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკული დავალება ეძლევა 8 ჯერ, თითოეული ფასდება</p>		

მაქსიმუმ 5 ქულით

5 ქულა: პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს უხარვეზოდ

4 ქულა: პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს კარგად

3 ქულა: პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს ხარვეზებით

2 ქულა: პრაქტიკულ სამუშაოს შესრულებისას საჭიროებს სხვის დახმარებას

1 ქულა: პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებს სხვის დახმარებას მაგრამ უშვებს ხარვეზებს.

0 ქულა: ვერ ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოს

## II. შუალედური გამოცდა-მაქსიმუმ 20 ქულა;

პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 4 პრაქტიკული დავალება, თითოეული ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით

0 ქულა- ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას

1 ქულა- ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, თუმცა აქვს წარმოდგენა აღნიშნული პროცედურების შესახებ

2 ქულა- ასრულებს პრაქტიკულ დავალებას უხარისხოდ – შეცდომებით

3 ქულა- ასრულებს პრაქტიკულ დავალებას დამაკმაყოფილებლად

4 ქულა- ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, კარგად, აღინიშნება უმნიშვნელო ხარვეზები

5 ქულა- ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, შესანიშნავად ზედმიწევნით კარგად შეუძლია აღნიშნული დავალების შესრულება

## დასკვნითი გამოცდა-მაქსიმუმ 40 ქულა;

პროფესიულ სტუდენტს ეძლევა 8 პრაქტიკული დავალება, თითოეული ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.

0 ქულა- ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას

1 ქულა- ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, თუმცა აქვს წარმოდგენა აღნიშნული პროცედურების შესახებ

2 ქულა- ასრულებს პრაქტიკულ დავალებას უხარისხოდ – შეცდომებით

3 ქულა- ასრულებს დავალებას დამაკმაყოფილებლად

4 ქულა- განსაზღვრავს მასაჟის მეთოდს და გამოსაყენებელ სამასაჟო მასალას, მასაჟის დროს ირჩევს და იყენებს კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთებს. იცის წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია, აღნიშნება უმნიშვნელო ხარვეზები.

5 ქულა- ზედმიწევნით კარგად განსაზღვრავს მასაჟის მეთოდს და გამოსაყენებელ სამასაჟო მასალას, მასაჟის დროს სწორად ირჩევს და იყენებს კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთებს. იცის წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია.

პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ ქულების დაჯამებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სწავლის შედეგები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია.

	<p>შეუძლია კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდების გამოყენება.</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b> უნარი შესწავს განსაზღვროს საჭიროებების მიხედვით მასაჟის მეთოდი და სამასაჟო მასალა (ზეთი, საცხები, მალამოები)</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b> შეუძლია სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b> შეუძლია ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე</p> <p><b>ღირებულებები:</b> ურთიერთობისას იცავს ეთიკურ და სანიტარულ ნორმებს.</p>
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>კონსულტირება, ჯგუფური მუშაობა, კონკრეტული დავალების/სამუშაოს კეთება ინდივიდუალურად, დემონსტრირება, როლური თამაშები, სიტუაციის გარჩევა, შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.</p>

პრაქტიკის შინაარსი				
#	კვირა	პრაქტიკის თემატიკა	საათების რაოდენობა კვირაში	
			პრაქტიკა	გამოცდა
1	24	ხელსმის შესრულების ტექნიკის გამოყენება სრესის შესრულების ტექნიკის გამოყენება თელვის შესრულების ტექნიკის გამოყენება	36	
2	25	ვიბრაციის შესრულების ტექნიკის გამოყენება, თვითმასაჟის ჩატარების ტექნიკის გამოყენება, თვითმასაჟის ტექნიკის გამოყენება, მასაჟის დროს შესაზელი საშუალებების გამოყენება, სამასაჟე ზეთები, საცხები	36	
3	26	ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟი. თავისა და სახის მასაჟი, კისრის მასაჟი ზედა კიდურების მასაჟი	34	
		<b>შუალედური გამოცდა</b>		2
4	27	ქვედა კიდურების მასაჟი ზურგის, წელის მიდამოს და მენჯის მასაჟი, გულმკერდის მასაჟი, მუცლის მასაჟი	36	
5	28	მასაჟი მიალგის დროს სპორტული მასაჟი	36	
6	29	სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი)	36	
7	30	კინეზოთერაპიის ფორმები: სამკურნალო ტანვარჯიში, სამკურნალო ფიზკულტურა, სუნთქვითი მასაჟები. სპორტული მასაჟი მასაჟი დამხმარე ილეთებით ვიბრაცია	31	
		<b>დასკვნითი გამოცდა</b>		3
<b>საბოლოო ჯამი</b>			<b>245</b>	<b>5</b>
			<b>250</b>	

